საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 5 18 00073040

24/10/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 23 ოქტომბრის N 60-0118296862 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 23.10.2018 N 72709) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-2 მიკრორაიონი N22 „გ“-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.003.094) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის N ES 3 18 00070519 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება-დამატებები და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი



საქართველო, თბილისი 0114, იწგოროყვას ქ. N7, ტელ: +995 32 228 78 40
N7 Ingorokva Str, 0114 Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 228 78 40